ხელშეკრულება N 2301 151101ძ/3
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 1 თებერვალი 2011 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის მამუკა გელოვანის სახით და მეორე მხრივ, შპს ,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდია კახიძე სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №492 დადგენილების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების პროგრამის სასწრაფო სამედიცინო დახმარების კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელება ბათუმის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში.

3. გამოყენებული ტერმინების განმარტება

3.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

3.1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") ნიშნავს „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დანართით და მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

3.1.2. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

3.1.3. „პროგრამა" ნიშნავს შესაბამისი ნორმატიული აქტით დამტკიცებულ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას;

3.1.4. „დაწესებულება" - იგივეა, რაც „მიმწოდებელი".

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2012 წლის 1 თებერვლიდან 2012 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე.

4.2. „მიმწოდებელი" მომსახურებას განახორციელებს „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის N77 დადგენილებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 149782.80 (ასორმოცდაცხრა ათას შვიდას ოთხმოცდაორი ლარი 80 თეთრი) ლარს.

5.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

6. პროგრამების დაფინანსება, ანგარიშსწორება და კონტროლი

6.1. პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტის პრინციპით, ერთი თვის ლიმიტი შეადგენს 74891.40 (სამოცდათოთხმეტი ათას რვაას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარს.

6.2. პროგრამების ადმინისტრირება განხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

7.1.2. გაარკვიოს პაციენტი (ან მისი მეურვე) თავის (პაციენტის) უფლება-მოვალეობებში და მისცეს საჭირო ახსნა განმარტებები პროგრამის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ეხება პაციენტს;

7.1.3. პროგრამის მოთხოვნის სრული დაცვით აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება პაციენტს;

7.1.4. ოპერატიულად მიაწოდოს „შემსყიდველს" ინფორმაცია სალიცენზიო პირობების შეცვლის შესახებ;

7.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
7.2.1. მიიღოს „შემსყიდველისაგან“ პროგრამის მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;
7.2.2. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.
7.3. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.3.1. პროგრამის ფარგლებში, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასური;
7.3.2. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.
7.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
7.4.1. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
7.4.2. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც უკავშირდება „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ მომსახურებას.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, მინიმუმ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.
8.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.4. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ „მიმწოდებელის“ წერილობითი ინფორმირების შემდეგ:
8.4.1. თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;
8.4.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
8.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
8.6. „შემსყიდველს“ ცალმხრივად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
8.6.1. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
8.6.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვაროს ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2.მხარეებს, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

13. მხარეთა პასუხისგებლობა

13.1. მხარეთა პასუხისგებლობა ხელშეკრულების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და პირობების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის № 01-1/ნ ბრძანებით დამტკიცებული „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების“ შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.4. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება „მიღება-ჩაბარების“ აქტით ეტაპობრივად, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი“ „შემსყიდველს“ წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან იწვოისს, საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში. მხარეები აგრეთვე ვთანხმდებით, რომ გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფორმები და პირობები შესაძლებელია დაზუსტდეს დამატებით, „შემსყიდველის“ მიერ, რაც წერილობით ეცნობება „მიმწოდებელს“.

14.5. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

14.6. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.7. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი „შემსყიდველთან“.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ სოციალური მომსახურების	შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების
სააგენტო	ცენტრი“
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144,	ბათუმი, ჰუმკინის ქ. №154
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927	სს „თიბისი ბანკი“ ა/ა №57736020100006
	საიდენტიფიკაციო კოდი 245426490
მამეგა გელოგანი	მინდია კახიძე